

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ამტელ ჰოსპიტალ პირველი
კლინიკური

2018 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს “ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის” მფლობელს:

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შპს “ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკურის” (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისათვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, მის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (“ასს”). ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ კომპანიისგან დამოუკიდებელი ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული ეთიკის კოდექსი. ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს). ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს კომპანიის მიერ მომავალში ფუნქციონირების უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობა, საჭიროების მიხედვით ანგარიშგებაში წარადგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების

დაშვებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან ოპერაციების შეწყვეტას, ან როდესაც ხელმძღვანელობას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა საქმიანობის შეწყვეტისა.

მმართველობა პასუხისმგებელია ზედამხედველობა გაუწიოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯასა და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაძლო თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არსწორი წარმართვა.
- ვერკვევით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავეგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ

მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომისიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

2019 წლის 9 აგვისტო

კარინე მარტიროსიანი
რეგისტრირებული აუდიტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარა	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018 წელი	31 დეკემბერი 2017 წელი
აქტივები			
კრედიტორიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2,772,992	3,133,416
არამატერიალური აქტივები		4,299	4,500
		<u>2,777,291</u>	<u>3,137,916</u>
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		184,299	180,407
საფაქრო და სხვა მომხმარებელი	5	3,805,712	3,814,324
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	6	890,015	1,556,756
		<u>4,880,026</u>	<u>5,551,487</u>
სულ აქტივები		<u>7,657,317</u>	<u>8,689,403</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	7.1	39,277	39,277
კაპიტალში კონტრაბუცია	7.2	-	(220,513)
აკუმულირებული მოგება		5,631,065	5,606,718
		<u>5,670,342</u>	<u>5,425,482</u>
კრედიტორიანი ვალდებულებები			
სესხები	8	1,028,924	1,074,671
		<u>1,028,924</u>	<u>1,074,671</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საფაქრო და სხვა ვალდებულებები	9	949,211	2,180,382
მომდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		8,840	8,868
		<u>958,051</u>	<u>2,189,250</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>7,657,317</u>	<u>8,689,403</u>

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019 წლის 9 აგვისტოს:

დანიელ გუგუია
დირექტორი

მარინა ახარიაშვილი
ფინანსური დირექტორი



მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი		2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
	შენიშვნა		
შემოსავალი	10	10,002,937	10,093,295
სხვა შემოსავალი		76,515	33,609
საავადმყოფოს საოპერაციო ხარჯები	11	(7,658,495)	(7,514,305)
ადმინისტრაციული ხარჯები	12	(2,076,072)	(2,159,646)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		344,885	452,953
ფინანსური ხარჯი	13	(106,352)	(180,985)
სხვა ფინანსური ერთეულები	14	12,094	(906)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		250,627	271,062
მოგების გადასახადის ხარჯი	15	(17,462)	(20,555)
წლიური მოგება		233,165	250,507
სხვა გაერთიანებული შემოსავალი		-	-
მთლიანი მოგება საანგარიშგებო წლისთვის		233,165	250,507

თანდართული შენიშვნები 10-40 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	კაპიტალში კონტრიბუცია	აკუმულირებული მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი, 2017 წელი	39,277	289,176	5,356,211	5,684,664
წლიური მოგება	-	-	250,507	250,507
მთლიანი გაერთიანებული შემოსავლები	-	-	250,507	250,507
კაპიტალის კონტრიბუციის შემცირება აქციონერის სესხის პირობებში ცვლილების გამო (შენიშნა 7.2 და შენიშნა 8)	-	(509,689)	-	(509,689)
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	(509,689)	-	(509,689)
31 დეკემბერი, 2017 წელი	39,277	(220,513)	5,606,718	5,425,482
წლიური მოგება	-	-	233,165	233,165
მთლიანი გაერთიანებული მოგება	-	-	233,165	233,165
კაპიტალის კონტრიბუციის შემცირება აქციონერის სესხის პირობებში ცვლილების გამო (შენიშნა 7.2 და შენიშნა 8)	-	11,695	-	11,695
კაპიტალის კონტრიბუციის ელიმინაცია აქციონერის სესხის პირობებში ცვლილების გამო (შენიშნა 7.2 და შენიშნა 8)	-	208,818	(208,818)	-
ტრანზაქციები მფლობელებთან	-	220,513	-	220,513
31 დეკემბერი, 2018 წელი	39,277	-	5,631,065	5,670,342

თანდართული შენიშვნები 10-40 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
<i>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</i>		
მოგება საშემოსავლო გადასახადის გადახდამდე	250,627	271,062
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	913,815	779,934
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული ზარალი/(მოგება)	4,512	(2,145)
სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ზარალის რეზერვებში ცვლილება	25,410	14,249
საპროცენტო ხარჯი	106,352	180,985
საკურსო სხვაობის ზარალი/(მოგება)	(12,094)	906
<i>საოპერაციო მოგება კაპიტალში ცვლილებამდე</i>	<i>1,288,622</i>	<i>1,244,991</i>
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(16,798)	168,113
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(3,892)	(37,122)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(1,231,171)	(265,278)
<i>ფული საოპერაციო საქმიანობიდან</i>	<i>36,761</i>	<i>1,110,704</i>
გადახდილი პროცენტი	(97,786)	(671,572)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	(17,490)	-
<i>წმინდა ფული მიღებული/(გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობაში</i>	<i>(78,515)</i>	<i>439,132</i>
<i>ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(557,702)	(863,578)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-	14,551
<i>წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში</i>	<i>(557,702)</i>	<i>(849,027)</i>
<i>ფული საფინანსო საქმიანობიდან</i>		
შემოსულობა სესხებიდან	1,095,000	(835,758)
სესხების დაფარვა	(1,056,795)	-
<i>წმინდა ფული მიღებული/(გამოყენებული) საფინანსო საქმიანობაში</i>	<i>38,205</i>	<i>(835,758)</i>
წმინდა ფულის ზრდა/(კლება)	(598,012)	(1,245,653)
საკურსო სხვაობის გავლენა ფულზე	(68,729)	(20,210)
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის დასაწყისში	1,556,756	2,822,619
ფული საბანკო ანგარიშებზე და ხელზე პერიოდის ბოლოს	890,015	1,556,756

თანდართული შენიშვნები 10-40 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს “ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური” დაარსდა 2011 წლის 5 ნოემბერს. კომპანია მთლიანად არის ამტელ ჰოლდინგ სინგაპურის (Amtel Holdings Singapore Pte Ltd, Singapore) მფლობელობაში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სამედიცინო კლინიკის ფუნქციონირება, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების სრულ პაკეტს ნებისმიერი დიაგნოზის მქონე პაციენტებისთვის, როგორც საავადმყოფოში, ასევე ამბულატორიულ კლინიკაში. კლინიკის დეპარტამენტები მოიცავს სხვადასხვა პათოლოგიების დიაგნოსტიკას და მკურნალობას მაღალტექნოლოგიური სამედიცინო აღჭურვილობისა და ტექნიკის გამოყენებით. საავადმყოფოს აქვს შემდეგი დეპარტამენტები:

- მოზრდილთა მიმღებ-გადაუდებელი
- მოზრდილთა რეანიმაცია
- ანესთეზიოლოგია და საოპერაციო ბლოკი
- აბდომინური ქირურგია
- გინეკოლოგია
- გულმკერდის ქირურგია
- სისხლძარღვთა და მიკროქირურგია
- ნეიროქირურგია
- ტრავმატოლოგია-ორთოპედია
- კარდიოლოგია
- ზოგადი თერაპია
- მოზრდილთა ამბულატორიული და ფუნქციური დიაგნოსტიკა
- ზოგადი პედიატრია
- ბავშვთა ამბულატორია
- ბავშვთა-მიმღებ გადაუდებელი
- ბავშვთა რეანიმაცია
- ბავშვთა ქირურგია
- ყბა-სახის ქირურგია
- ნევროლოგია.

კომპანიის იურიდიული მისამართია წინანდალის ქუჩა 9, ისანი-სამგორის რაიონი, თბილისი, საქართველო.

2 შეგდენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივები და ვალდებულებები წარდგენილია ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც წარდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა უფრო გამოსადეგია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის. ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური მონაცემები დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღიარებულ შემოსავლებზე და ხარჯებზე. მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასებებისა და განსჯის მნიშვნელოვან ხარისხს მოითხოვს, ასევე ანგარიშგების ნაწილები, სადაც მოსაზრებები და შეფასებები ღიდ გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, წარმოდგენილია მე-16 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების ათვისება

კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“IASB”) მიერ გამოცემული ყველა ახალი და გადახდილი სტანდარტი და საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების კომიტეტის (“IFRIC”) მიერ გამოცემული ყველა ინტერპრეტაცია რომელიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის და რომელიც შესაბამისობაშია კომპანიის ოპერაციებთან.

ცვლილებების გავლენა განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის.

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტებთან* დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება*. ახალ სტანდარტს შემოაქვს მნიშვნელოვანი ცვლილებები ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაში და შემოაქვს ახალი, ე.წ. “მოსალოდნელი ზარალის” მოდელი ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9 ასევე მოიცავს ახალ განმარტებას ჰეჯირების ანგარიშგებასთან მიმართებაში.

ფასს 9-ის დანერგვისას, კომპანიამ გამოიყენა გარდამავალი პერიოდის შეღავათი და არ შეცვალა წინა პერიოდების ინფორმაცია. განსხვავება, რომელიც წარმოიშვა ფასს 9-ის დანერგვისას კლასიფიკაციასთან, გაზომვასთან და გაუფასურებასთან დაკავშირებით აღიარდა გაუნაწილებელ მოგებაზე.

ფასს 9-ის დანერგვამ გავლენა იქონია შემდეგ სფეროებზე:

- კომპანიის იმ ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შეფასება, რომელსაც კომპანია ფლობს იმ მიზნით, რომ მიიღოს საკონტრაქტო ფულადი ნაკადები.
- ფინანსური აქტივების გაუფასურებისას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენება. ამან გავლენა იქონია კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებზე და სასესხო ტიპის აქტივებში ინვესტიციებზე, რომლებიც ამორტიზირებული ღირებულებითაა შეფასებული. ფასს 15-ის გამოყენებიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო აქტივებისა და სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანიამ გამოიყენა სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარების გამატივებელი მოდელი, რადგან ამ აქტივებს არ გააჩნიათ მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტი.

ფასს 9-ის გამოყენების შედეგად ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციაში ან შეფასებაში ცვლილება არ ყოფილა.

ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 და დაკავშირებული განმარტებები ანაცვლებს ბასს 18 *ამონაგებს*, ბასს 11 *სამშენებლო კონტრაქტებს* და რეალიზაციასთან დაკავშირებულ რამოდენიმე სხვა ინტერპრეტაციას.

ფასს 15-ის დანერგვას მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე.

IFRIC 22 უცხოურ ვალუტაში განხორციელებლი ოპერაციები და წინასწარი გადახდა

IFRIC 22 (ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო საბჭო) განსაზღვრავს კონვერტაციისას საჭირო გაცვლით კურსს, როდესაც დაკავშირებულ აქტივებთან, ზარჯებთან ან შემოსავალთან მიმართებით ხდება გადახდა ან თანხის წინასწარი მიღება.

IFRIC 22-ის მიხედვით, დაკავშირებული აქტივის, ზარჯის, შემოსავლის ან მისი ნაწილის თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული გაცვლითი კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, როდესაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს თანხის გადახდით ან წინასწარი მიღებით წარმოქმნილ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას.

თუ კომპანიას აქვს მრავალჯერადი გადახდის ან წინასწარ მიღების ოპერაციები, კომპანიამ ოპერაციის თარიღი უნდა განსაზღვროს ყოველ ასეთ ტრანზაქციაზე ინდივიდუალურად.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და დანერგილი ადრეულად კომპანიის მიერ

ფინანსური ანგარიშგების ძალაში შესვლის დღეს, ბასს-ის მიერ გამოქვეყნებული ზოგიერთი ახალი სტანდარტი, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები ჯერ არ არის ძალაში და არ არის დანერგილი კომპანიის მიერ.

ხელმძღვანელობა გეგმავს, რომ ყველა შესაბამისი ცვლილება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში დანერგილი იყოს ცვლილების ძალაში შესვლის პირველივე პერიოდში. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია იმ ახალი სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების შესახებ, რომლებიც მოსალოდნელია, რომ შესაფერისი იქნება კომპანიის ფინანსური ანგარიშგებისათვის მომავალ პერიოდებში. გამოცემულია აგრეთვე სხვა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციებიც, მაგრამ არ ივარაუდება, რომ მათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მატერიალური გავლენა ექნებათ.

ცვლილებები ფასს 9-ში: წინასწარი გადახდის უარყოფითი მახასიათებლები

ფასს 9 ის მიხედვით, სასესიო ინსტრუმენტები შეიძლება აღიარებული იქნას ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იმ პირობით რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები არის “მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდა” (SPPI კრიტერიუმი) და ინსტრუმენტი კომპანიის მიერ ფლობილია ამ კლასიფიკაციის შესაბამისი ბიზნეს მოდელის ფარგლებში. ფასს 9-ში შეტანილი ცვლილებები განმარტავს რომ ფინანსური აქტივი გადის SPPI კრიტერიუმს, მიუხედავად იმ მოვლენის ან გარემოებისა, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას, და იმისდა მიუხედავად თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონივრულ ანაზღაურებას ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ.

ცვლილებები ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან და შედეგი ასახული უნდა იქნას რეტროსპექტიულად. ადრეული გამოყენება ნებადართულია.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს და დანართებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოიჯარეებს დაავალდებულებს იჯარით აღებული აქტივები აღრიცხონ ბალანსში “აქტივის გამოყენების უფლების” სახით და აღიარონ შესაბამისი საიჯარო ვალდებულებები.

ფასს 16 აგრეთვე:

- ცვლის იჯარის განსაზღვრებას;
- განსაზღვრავს აღრიცხვის სტანდარტებს აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, შედარებით რთული შემთხვევების ჩათვლით, როგორიც არის არა-საიჯარო ელემენტები, განსხვავებული საიჯარო გადახდები და არჩევითი პერიოდები;
- მოკლევადიან იჯარებს და დაბალი ღირებულების აქტივის იჯარებს უზრუნველყოფს გათავისუფლებისგან;
- ცვლის აღრიცხვას რეალიზაციის და უკუიჯარის გარიგებებზე;
- უცვლელად ტოვებს ბასს 17 მიდგომებს მეიჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით;
- წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს ახსნა-განმარტებით დანართებთან დაკავშირებით

ფასს 16 ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გამოყენება ნებადართულია. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ფასს 16-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ტრანზაქციები საანგარიშგებო ვალუტაში გადაიყვანება ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ბალანსის თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს ხოლო 1 ევროსთვის 3.0701 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი და 3.1044 ევრო). არაფულადი მუხლები არ გადაანგარიშდება პერიოდის ბოლო კურსით და აღირიცხება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღირიცხება ტრანზაქციის დღეს

არსებული კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

ვალუტის გადაანგარიშებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით.

თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხება ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევითანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

სამედიცინო აღჭურვილობა და დანადგარები - 5 - 20 წელი

ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა - 2 - 10 წელი

3.3 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, ბალანსში წარდგენილია აკუმულირებული ამორტიზაციისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის თანხით შემცირებული თვითღირებულებით.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით 7 წლის განმავლობაში და ამორტიზაცია აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადის მქონე აქტივების ამორტიზაცია არ ხდება და ისინი ყოველწლიურად მოწმდება შესაძლო გაუფასურების დადგენის მიზნით. ამორტიზებადი აქტივების გაუფასურების ტესტირება ხდება, როდესაც რაიმე მოვლენები ან ცვლილებები გარემოებებში მიუთითებს, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება შესაძლოა მის აღდგენით ღირებულებაზე მეტი იყოს. როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას,

მაშინ დაუყოვნებლივ აღიარდება გაუფასურების ზარალი, რომელიც ტოლია იმ თანხის, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატებოდა მის აღდგენით ღირებულებას.

აქტივის აღდგენითი ღირებულება არის მის გამოყენების ღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის უდიდესი. თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი ისევე აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის გადახდილ აღდგენით ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო წინა პერიოდში მისი გაუფასურება. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუკი ეს აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შებრუნება აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

3.5 ლიზინგით აღიარებული აქტივები/იჯარა

ფასს 17-ის მიხედვით, მოიჯარეს იჯარით მიღებულ აქტივებზე ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა, თუ მასზე გადადის იჯარით აღებული აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი აქტივი ლიზინგის დაწყების თარიღისთვის აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით, ან, თუ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულება აქტივის სამართლიან ღირებულებაზე უფრო ნაკლებია, მაშინ აქტივი აღიარდება საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების ტოლი თანხით, პლუს თანმდევი გადახდების თანხა. ამავდროულად, შესაბამისი თანხა აღიარდება, როგორც ვალდებულება ფინანსურ იჯარაზე, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საიჯარო გადასახდელი შეიძლება გადასახდელი იყოს წინასწარ, იჯარის დასაწყისამდე.

შემდგომში, ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით ფლობილი აქტივების აღრიცხვა, მაგალითად ცვეთა და აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ხდება ისეთნაირადვე, როგორც იმ მსგავსი აქტივების აღრიცხვა, რომლებიც იურიდიულად ეკუთვნის კომპანიას. ფინანსურ იჯარაზე ვალდებულება მცირდება გადახდილი საიჯარო გადასახდელების შესაბამისად, რომლებიც შემცირებულია ფინანსური ხარჯებით, რომლებიც თავის მხრივ მოგება-ზარალში ფინანსურ ხარჯებად აღიარდება. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს დასაფარი ძირი თანხის მუდმივ პროპორციას და აღიარდება მოგება-ზარალში საიჯარო ვადის განმავლობაში.

ყველა სხვა იჯარის ხარჯი აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარაზე გადასახდელი თანხები ხარჯად აღიარდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. სხვა ასოცირებული დანახარჯები, როგორებიცაა რემონტის დანახარჯები და დაზღვევა, აღიარდება მოგება-ზარალში ხარჯის გაწევისთანავე.

3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან გაუქმდა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შესაბამისი შეფასება

გარდა იმ სავაჭრო მოთხოვნებისა, რომლებიც არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და ფასს 15-ის თანახმად აღიარებული არიან ტრანზაქციის ფასით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რომელიც ითვალისწინებს ტრანზაქციის დანახარჯებსაც (სადაც გამოყენებადია).

შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით (FVOCI).

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ ქონია არცერთი ფინანსური აქტივი რომელიც შეფასებული იქნებოდა სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში (FVTPL) ან სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით (FVOCI).

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი საკითხის გათვალისწინების საფუძველზე:

- ფინანსური აქტივების მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებული ბიზნეს მოდელი
- ფინანსური აქტივიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლები

ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა მოგება ან ზარალი, რომლებიც აღიარებულია მოგება-ზარალში, ჩართულია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ პუნქტებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხრავისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია მე-17.2 შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ აქტივები აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს (და არ არის მიზანმიმართულად კლასიფიცირებული, როგორც სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)).

- კომპანია მათ ფლობს ისეთ ბიზნეს მოდელში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის ფლობა და მისგან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება.

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც არის მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ასეთი აქტივები აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. კომპანიის ფულადი სახსრები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები კლასიფიცირდება ფინანსური აქტივების ამ კატეგორიაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები გაუფასურების ზარალის აღიარებისათვის იყენებს უფრო მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას - “მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს”. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის “გაწეული ზარალის მოდელს”. ახალი მოთხოვნების ფარგლებში შედის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, როგორიცაა სესხები და სხვა სესხის ტიპის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით (FVOCI); სავაჭრო მოთხოვნები; ფასს 15-ის ფარგლებში აღიარებული და შეფასებული სახელშეკრულებო აქტივები; სესხის აღების ვალდებულებები და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის კონტრაქტი, რომლებიც არ არიან აღრიცხული რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით.

საკრედიტო დანაკარგების აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის მიერ თავდაპირველად ზარალის წარმოქმნილი წარსული მოვლენის დადგენაზე. ამის ნაცვლად, კომპანია საკრედიტო რისკების და მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასებისთვის განიხილავს ინფორმაციის ფართო სპექტრს, მათ შორის წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებს, გონივრულ და დასაბუთებელ პროგნოზებს, რომლებიც გავლენას ახდენს ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების მოსალოდნელ ამოღებადობაზე.

სამომავლო მიდგომის გამოყენებისას ერთმანეთისგან განირჩევა:

- ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც არ აღენიშნება საგრძნობლად მნიშვნელოვანი გაუარესება თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ან აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი (“ეტაპი 1”) და
- ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც აღენიშნება საგრძნობლად მნიშვნელოვანი გაუარესება თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომელთა საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (“ეტაპი 2”)

“ეტაპი 3” დაფარავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც საანგარიშო თარიღისთვის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები აქვთ.

“12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი” აღიარდება პირველი კატეგორიისთვის, ხოლო მეორე კატეგორიისთვის აღიარდება “მთელ სასიცოცხლო ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები”.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასება ხდება ალბათობის მიხედვით შეწონილი საკრედიტო დანაკარგების შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მთელ მოსალოდნელ სასიცოცხლო ვადაზე.

ფინანსური აქტივების აღრიცხული გაუფასურება ბასს 39-ის მიხედვით

წინა წლის განმავლობაში, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება დაფუძნებული იყო გაწეული ზარალის მოდელზე. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მოთხოვნების გაუფასურების შეფასება ხდებოდა, როდესაც სახეზე იყო ვადაგადაცილება ან არსებობდა სხვა ობიექტური მტკიცებულება, რომ კონკრეტული დებიტორისგან მისაღები თანხის ამოღება ვერ მოხდებოდა. მოთხოვნები, რომლებიც ინდივიდუალურად გაუფასურებულად არ განიხილებოდა, გაუფასურების ანალიზის მიზნებისათვის ჯგუფდებოდა საკრედიტო რისკის მსგავსი მახასიათებლების მქონე ჯგუფებში და მათი შესაძლო გაუფასურება ამ ჯგუფებისთვის ერთიანად განიხილებოდა. გაუფასურების

ზარალის შეფასება დაფუძნებული იყო, თითოეული იდენტიფიცირებული ჯგუფისთვის, ისტორიული გაუფასურების მაჩვენებლების სტატისტიკაზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია გამარტივებულ მიდგომას იყენებს სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების და სახელშეკრულებო აქტივებისათვის და დანაკარგების რეზერვს აღრიცხავს, როგორც სიცოცხლის ვადაში მოსალოდნელი გაუფასურებას. ეს წარმოადგენს საკონტრაქტო ფულად ნაკადებში მოსალოდნელი დანაკარგების შეფასებას, სადაც გაითვალისწინება ფინანსური ინსტრუმენტის მთელი ვადის განმავლობაში პოტენციური გაუფასურება. ზარალის გაანგარიშებისას კომპანია იყენებს მის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ინდიკატორებს და მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას, რათა დაადგინოს სავარაუდო საკრედიტო დანაკარგები დარიცხვის მატრიცის გამოყენებით.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას აფასებს კოლექტიურ საფუძველზე, რამდენადაც მიჩნეულია, რომ მათ ერთნაირი საკრედიტო რისკის მახასიათებლები აქვთ და ისინი, ანალიზის მიზნებისათვის ჯგუფდებიან მოთხოვნების ხანდაზმულობის დღეების მიხედვით. ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების გამოყენება იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ვინაიდან ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა ფასს 9-ს შესაბამისად მეტწილად იგივეა, რაც ბასს 39-ით იყო, ამიტომ ფასს 9-ზე გადასვლას კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებზე გავლენა არ მოუხდენია, თუმცა შესაბამისი საბუღალტრო პოლიტიკა მაინც ახსნილია ქვემოთ.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. კომპანიის ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების მიხედვით შეჯამება იხილეთ მე-17.2 შენიშვნაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება სამართლიან და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით, ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სესხებთან დაკავშირებული სხვა ხარჯები არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შესყიდვასთან, აშენებასთან ან შექმნასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც ამ აქტივის ნაწილი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

3.8 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ხელზე არსებულ ნაღდ ფულს, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ტრანზიტულ ფულად ნაკადებს.

ფულადი სახსრების ანგარიშგების მიზნებისათვის ფულადი ექვივალენტები არის მოთხოვნამდე დეპოზიტები, სხვა მოკლევადიანი, მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები რომლებიც ადვილად კონვერტირებადია ფულად სახსრებად და რომლებიც ატარებენ ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი სახსრები გამოიყენება უფრო მოკლევადიანი ფულადი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ვიდრე ინვესტიციის ან სხვა მიზნებისთვის. კომპანია ინვესტიციას აკლასიფიცირებს როგორც ფულადი სახსრების ექვივალენტს, თუ იგი ადვილად

კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ რაოდენობაში და აქვს ღირებულების დაკარგვის უმნიშვნელო რისკი.

3.9 სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები არ აღიარდება მანამდე, სანამ არ არსებობს გონივრული გარანტია, რომ კომპანია შეასრულებს მათთან დაკავშირებულ პირობებს და მიიღებს გრანტებს.

სახელმწიფო გრანტები, რომელთა ძირითადი პირობაა, რომ კომპანიამ უნდა იყიდოს, აწარმოოს ან სხვაგვარად შეიძინოს გრძელვადიანი აქტივები, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია გადავადებული შემოსავლის სახით და აქტივის სასიცოცხლო პერიოდის მიხედვით, სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე ხდება მისი გადატანა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა სახელმწიფო გრანტები აღიარდება შემოსავლად სისტემატურ საფუძველზე, იმ საანგარიშგებო პერიოდებში, რომელშიც საწარმო ხარჯად აღიარებს დანახარჯებს, რომელთა დაფინანსებაც ხდება გრანტის მეშვეობით. სახელმწიფო გრანტი, რომელიც მიღებული იქნება გაწეული ხარჯებისა და ზარალის კომპენსაციის სახით, ან საწარმოს გადაუდებელი ფინანსური დახმარების მიზნით, რომელსაც არ ექნება შესაბამისი სამომავლო დანახარჯები, უნდა აღიარდეს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი დაექვემდებარება მიღებას.

იმ გრძელვადიანი უპროცენტო სესხის შემთხვევაში, რომელიც კომპანიამ სახელმწიფოსგან მიიღო სადაზღვევო კომპანიებისგან უიმედო მოთხოვნების კომპენსაციისათვის, განსხვავება, რომელიც წარმოიშობა სესხის სამართლიან ღირებულებას და ნომინალურ ღირებულებას შორის, აღიარებულია, როგორც შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან, იმ პერიოდში, რომელშიც სესხი არის მიღებული.

3.10 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალებს.

ყველა ტრანზაქცია, რომელიც განხორციელებულია მესაკუთრეებთან კაპიტალში ჩაწერილია ცალკე.

ღივიდნები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

კაპიტალში კონტრიბუცია/(კაპიტალში კონტრიბუციის შემცირება) წარმოადგენს აქციონერების დამატებით ინვესტიციას (განაწილებას აქციონერებზე), აქციონერთა სესხების ნომინალური ღირებულებასა და აღიარებისას მათ სამართლიან ღირებულებას შორის არსებული სხვაობით, რომლებიც გაანგარიშებულია მომავალი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ეს ცვლილება დაკავშირებული იყო კორპორატიული სამემოსავლო გადასახადის ახალ მოდელთან.

ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებული მოგების გადასახადი აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85

2016 წლამდე დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებაზე, 2017 წელს გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდი, იბეგრება მოგების გადასახადით წინა წლების მოდელის მიხედვით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად ბასს 12-ის მიხედვით, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

3.12 შემოსავალი

შემოსავლის განსაზღვრა ხდება შემდეგი 5 ეტაპით:

1. კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება
2. შესასრულებელი ვალდებულების იდენტიფიცირება
3. გადარიცხვის ფასის განსაზღვრა
4. ტრანზაქციის ფასის გამოყენება შესასრულებელი ვალდებულებისთვის
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც/შესასრულებელი ვალდებულება დაკმაყოფილდა.

შემოსავალი აღიარდება ან პერიოდში ან პერიოდის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს შეპირებული საქონლის გადაცემით ან მომსახურების გაწევით კლიენტისთვის.

კომპანია აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც საკონტრაქტო ვალდებულებას. ანალოგიურად, თუ კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, კომპანია აღიარებს საკონტრაქტო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე.

შემოსავალი სამედიცინო/ჯანდაცვის სერვისებიდან

24 საათის განმავლობაში (სასწრაფო დახმარების) საავადმყოფოში ყოფნის სტაციონარულ მომსახურებასთან დაკავშირებული შემოსავლები აღიარებულია პაციენტის სამედიცინო ჩანაწერის დახურვის დღის მიხედვით.

შემოსავლები პაციენტებიდან, რომელთა სტაციონარული ან ამბულატორული მომსახურება 24 საათზე მეტ ხანს გრძელდება, აღიარდება შემდეგნაირად:

- I. ინდივიდუალური პაციენტების მიერ დაფარული მკურნალობის ღირებულება აღიარებულია შემოსავლის სახით, როდესაც სამედიცინო მომსახურება გაწეულია და ანგარიში წარდგენილია პაციენტზე.
- II. პაციენტის სადაზღვეო პოლისის მიერ დაფარული მკურნალობის ღირებულება აღიარებულია შემოსავლის სახით, როდესაც სამედიცინო მომსახურება სრულად გაეწია

პაციენტს, მოხდა პაციენტის სამედიცინო ჩანაწერის დახურვა და არსებობს გონივრული საფუძველი, რომ ანაზღაურების მიღება მოხდება ჯანმრთელობის დამზღვევი პროვაიდერისგან. სამედიცინო ჩანაწერებზე დაფუძნებით აღიარებული შემოსავალი წარედგინება:

- პაციენტის ჯანმრთელობის დაზღვევის პროვაიდერებს, სადაზღვევო პოლიტიკის მიხედვით; ან
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს, ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პოლიტიკის პირობების შესაბამისად.

შემოსავალი იჯარიდან

შემოსავალი იჯარიდან აღიარდება წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის კადის მიხედვით.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	სამედიცინო აღჭურვილობა და დანადგარები	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სულ
<i>ღირებულება</i>			
1 იანვარი, 2017 წელი	3,950,775	511,726	4,462,501
მატება	776,264	87,314	863,578
კლება	(45,735)	(25,835)	(71,570)
31 დეკემბერი, 2017 წელი	4,681,304	573,205	5,254,509
მატება	542,504	15,198	557,702
კლება	(61,593)	(9,389)	(70,982)
31 დეკემბერი, 2018 წელი	5,162,215	579,014	5,741,229
<i>დაგროვილი ცვეთა</i>			
1 იანვარი, 2017 წელი	1,160,122	239,942	1,400,064
წლის ცვეთა	665,735	115,060	780,795
კლების შედეგად კორექტირება	(38,432)	(21,334)	(59,766)
31 დეკემბერი, 2017 წელი	1,787,425	333,668	2,121,093
წლის ცვეთა	795,012	118,602	913,614
კლების შედეგად კორექტირება	(59,011)	(7,459)	(66,470)
31 დეკემბერი, 2018 წელი	2,523,426	444,811	2,968,237
<i>საბალანსო ღირებულება</i>			
31 დეკემბერი, 2017 წელი	2,893,879	239,537	3,133,416
31 დეკემბერი, 2018 წელი	2,638,789	134,203	2,772,992

სესხი კომერციულ ბანკთან არის უზრუნველყოფილი კომპანიის ძირითადი საშუალებებით (იხილეთ შენიშვნა 8).

ცვეთის ხარჯი აღრიცხულია ადმინისტრაციულ ხარჯად.

კომპანიას საავადმყოფოს შენობა აღებული აქვს საოპერაციო იჯარით დაკავშირებული მხარისაგან შპს ამტელ მედიკალ ფროფერტის-გან.

5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
<i>ფინანსური აქტივები</i>		
მოთხოვნები სოციალური მომსახურების სააგენტოსთან	3,056,648	3,434,959
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიებისგან	791,910	736,180
მოთხოვნები პაციენტებისგან	517,250	465,838
მოთხოვნები სხვა იურიდიული პირებისგან	40,205	49,115
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	10,875	13,814
	<u>4,416,888</u>	<u>4,699,906</u>
 რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის	 (961,530)	 (936,120)
	<u>3,455,358</u>	<u>3,763,786</u>
<i>არაფინანსური აქტივები</i>		
წინასწარგაწეული ზარჯები	350,354	50,538
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	<u>3,805,712</u>	<u>3,814,324</u>

ყველა თანხა მოკლევადიანია. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება უტოლდება მის სამართლიან ღირებულებას.

მოთხოვნის დაფარვის საშუალო პერიოდია 132 დღე (2017: 137 დღე). სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესადარის პერიოდებში გადახდილ იქნა გაუფასურების მაჩვენებლების შესაბამისად.

კომპანიამ 365 დღეს გადაცილებული მოთხოვნები მთლიანად ჩართო გაუფასურების რეზერვში. მოთხოვნების მოცულობა რომელიც გადაცილებულია 365 დღეს არის 729,456 ლარი, საიდანაც მოთხოვნები კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან 710,799 ლარი (2017: 763,523 ლარი, საიდანაც მოთხოვნები კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან არის 725,445 ლარი).

2018 წლის 31 დეკემბრისთვის ინდივიდუალური სავაჭრო მოთხოვნები მთლიანი საბალანსო ღირებულებით 232,074 ლარი (2017 წლის 31 დეკემბრისთვის: 172,597 ლარი) გაუფასურდა და სრულად იყო დარეზერვებული.

შენიშვნა 18(ბ) მოიცავს საკრედიტო რისკებთან დაკავშირებულ და სავარაუდო საკრედიტო ზარალის შესახებ ინფორმაციას. გაუფასურების რეზერვის თანხა შესადარის პერიოდისთვის, დათვლილი ბასს 39-ის მიხედვით, რომელიც იყენებდა “მომხდარი ზარალის” მოდელს, ხოლო მიმდინარე წელს გამოიყენება ფასს 9, რომელიც “მოსალოდნელი ზარალის” მოდელს იყენებს.

ყველა მოთხოვნა დენომინირებულია ლარში.

6 ფული ხელზე და სხვა საბანკო ანგარიშებზე

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფული ხელზე	5,359	11,255
ფული საბანკო ანგარიშებზე	884,656	1,545,501
	<u>890,015</u>	<u>1,556,756</u>

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე, რომლებიც აღრიცხულია უცხოურ ვალუტაში წარდგენილია შენიშვნა 18-ში.

7 კაპიტალი და რეზერვები

7.1 საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი შედგება ერთი აქციისგან ნომინალური ღირებულებით 39,277 ლარი, რომელიც ეკუთვნის ამტელ ჰოლდინგ სინგაპურს (Amtel Holdings Singapore Pte Ltd, Singapore).

7.2 კაპიტალში კონტრიბუცია

კომპანიამ მიიღო სესხი თავისი აქციონერისგან. სესხი შედგებოდა რამდენიმე ტრანშისგან. (იხ. შენიშვნა 8). სესხის პირობების მიხედვით სესხის ძირითად თანხაც და დარიცხული პროცენტიც სესხის ვადის ბოლოს უნდა დაიფაროს. განსხვავება სესხების ნომინალურ და სამართლიან ღირებულებას შორის (რომელიც 12%-იანი დისკონტირების განაკვეთით დათვლილი ფულადი ნაკადების საფუძველზე განისაზღვრა), აღიარებულ იქნა როგორც კონტრიბუცია კაპიტალში (კაპიტალის ელემენტი).

ცვლილებები სესხის ხელშეკრულებაში

კომპანიამ (მსესხებელი) და მისმა აქციონერმა (კრედიტორი) - ამტელ ჰოლდინგს სინგაპურმა, 2016 წლის 1 ოქტომბერს ხელი მოაწერეს ცვლილებას სესხის ხელშეკრულებაში, რომლის მიხედვითაც წლიური საპროცენტო განაკვეთი დაუფარავ სესხზე შემცირდა 16%-დან 12%-მდე. კომპანიის ხელმძღვანელობამ ცვლილებები სესხის პირობებზე მიიჩნია მნიშვნელოვნად და გააკეთა შესაბამისი კორექტირება - შეწყვიტა ცვლილებამდე სესხის საბალანსო ღირებულების აღიარება და აღიარა სესხი რეალური ღირებულებით, შესწორებული პირობების მიხედვით. განსხვავება შესწორებული პირობების მიხედვით აღიარებული სესხის სამართლიან ღირებულებასა და სესხის ნომინალური ღირებულებას შორის, აისახა როგორც კაპიტალში კონტრიბუციის შემცრება. (კაპიტალის მფლობელებისათვის გადანაწილება) (შენიშვნა 8).

2017 წლის განმავლობაში კომპანიამ დაიწყო პროცენტის რეგულარულად გადახდა. სესხის ხელშეკრულების მიხედვით, მომავალი ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი ცვლილების გამო, ხელმძღვანელობამ გადაიანგარიშა სესხის სამართლიანი ღირებულება 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და დააკორექტირა კაპიტალში კონტრიბუცია რეტროსპექტულად. (შენიშვნა 8).

2018 წლის განმავლობაში, კომპანიას სრულად აქვს გადახდილი დარჩენილი სესხის ძირი და პროცენტი. სესხის გრაფიკის ცვლილების თანახმად, მენეჯმენტმა გაიანგარიშა რეალური ღირებულებები და კორექტირებული კაპიტალის წვლილი, შესაბამისად. (შენიშვნა 8).

8 სესხები

ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი სესხი	-	-	1,000,613	-
არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარისგან	-	-	-	1,049,758
არაუზრუნველყოფილი სახელმწიფო სესხი	-	-	28,311	24,913
	-	-	1,028,924	1,074,671

გრძელვადიანი სესხების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულება ეფუძნება ფულადი ნაკადების დისკონტირებას 12.84% -იანი განაკვეთით სახელმწიფო სესხებისთვის (2017: 12% დაკავშირებული მხარეებისგან და 12.84% სახელმწიფო სესხებიდან).

2016 წლის 1 ოქტომბერს სესხის ხელშეკრულებაში ცვლილებას ხელი მოაწერა კომპანიამ (მსესხებელი) და მისმა აქციონერმა (კრედიტორი) - ამტელ ჰოლდინგს სინგაპურმა, რომლის მიხედვითაც საპროცენტო განაკვეთი დაუფარავ სესხზე შემცირდა 16%-დან 12%-მდე წლიური. 2017 წლის განმავლობაში კომპანიამ დაიწყო პროცენტის რეგულარულად გადახდა. სესხის ხელშეკრულების მიხედვით, ხელმძღვანელობამ გადაიანგარიშა სესხების სამართლიანი ღირებულება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით 12%-იანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ სრულად დაფარა სესხის დარჩენილი ნაშთი შესაბამის მხარესთან მისი ვადის ამოწურვამდე. სესხის გადახდის გრაფიკის ცვლილების გამო, ხელმძღვანელობამ გადაიანგარიშა სესხის რეალური ღირებულება და დააფიქსირა კორექტირების ეფექტი კაპიტალის შენატანზე.

2018 წლის 24 აპრილს, კომპანიამ მიიღო კომერციული ბანკისგან - სს თიბისი ბანკისგან დაფინანსება, საკრედიტო ხაზის სახით 1 მილიონი ლარის ოდენობით. საკრედიტო ხაზის საწყისი ვადა იყო 1 წელი, იწურებოდა 2019 წლის 24 აპრილს. შემდეგ გახანგრძლივდა 2020 წლის 24 აპრილამდე. საკრედიტო ხაზს ერიცხება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით: 4.75% დამატებული ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი, ხელმოწერის დღისთვის. გადახდები უნდა განხორციელდეს ყოველი თვის პირველ რიცხვში წინა კალენდარული თვის რეფინანსირების განაკვეთის საფუძველზე.

მიუხედავად ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებისა, წლიური საპროცენტო განაკვეთი შემოიფარგლება საწყისი 4.75%-ით წლიურად და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთით 18% წლიურად.

სესხი სს თიბისი ბანკიდან უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით (იხილეთ შენიშვნა 4).

ზემოაღნიშნული შეთანხმება მოიცავს ფინანსურ კოვენანტებს, რომლებიც აღწერილია ქვემოთ:

- მთლიანი ვალდებულებები არ უნდა აღემატებოდეს ოპერაციული მოგების 300%-ს (EBITDA)
- სესხის დაფარვის კოეფიციენტი უნდა შენარჩუნდეს მინიმუმ 1.3 ერთეული ($DSCR = (EBITDA - \text{Maintenance CAPEX} - \text{Dividend} - \text{Profit tax}) / \text{Long term loan}$)
- თავისუფალი ფულადი სახსრებისგან მიღებული თანხები სესხის მომსახურების დასაფარად უნდა შენარჩუნდეს 1.05 ერთეული ($CFADS = (EBITDA - \text{change in Working Capital} - \text{Maintenance CAPEX} - \text{Dividend} - \text{Profit tax}) / \text{Long term loans}$)
- ICR იქნეს შენარჩუნებული მინიმუმ 3.0 ($ICR = (EBITDA - \text{Maintenance CAPEX}) / \text{Accrued interest}$)

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის უცხოური ვალუტის რისკების შესახებ იხილეთ მე-18 შენიშვნაში.

სესხების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

								ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	
ტრანში		ძირი თანხა ორიგინალ ვალუტაში	ორიგინალი ვალუტა	მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	ხელშეკრულების განაკვეთი (%) წლიური	ეფექტური განაკ- ვეთი	ძირი	დარიცხული პროცენტი
უზრუნველყოფილი სესხები კომერციული ბანკიდან									
1	სს თიბისი ბანკი	1,000,000	ლარი	24-04-2018	24-04-2020	4.75%+სებ-ის რეფინანსირების განაკვეთი	4.75%+სებ-ის რეფინანსირების განაკვეთი	996,123	4,490
								996,123	4,490
არაუზრუნველყოფილი სახელმწიფო სესხები									
11	ტრანში 1	133,012	ლარი	23-07-2014	23-07-2034	0%	12.84%	14,210	11,052
12	ტრანში 2	22,389	ლარი	12-11-2014	23-07-2034	0%	12.85%	1,789	1,260
								15,999	12,312
								1,012,122	16,802

სესხების განმარტებითი შენიშვნები 2017 წლისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

ტრანში		ძირი თანხა ორიგინალ ვალუტაში	ორიგინალი ვალუტა			ხელეკრულების განაკვეთი (%) პროცენტი	ეფექტური განაკ- ვეთი	ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	
				მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი			ძირი	დარიცხული პროცენტი
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული შხარებისგან									
1	ტრანში 1	60,000	აშშ დოლარი	12-11-2012	13-11-2022	12%	9.13%	-	-
2	ტრანში 2	25,000	აშშ დოლარი	26-11-2012	13-11-2022	12%	9.51%	-	-
3	ტრანში 3	35,000	აშშ დოლარი	13-12-2012	13-11-2022	12%	9.55%	-	-
4	ტრანში 4	20,000	აშშ დოლარი	6-02-2013	13-11-2022	12%	9.33%	-	-
5	ტრანში 5	10,000	აშშ დოლარი	16-11-2013	13-11-2022	12%	9.39%	-	-
6	ტრანში 6	100,000	აშშ დოლარი	29-01-2014	13-11-2022	12%	9.72%	-	-
7	ტრანში 7	157,500	აშშ დოლარი	20-05-2014	13-11-2022	12%	10.84%	150,812	45,275
8	ტრანში 8	33,000	აშშ დოლარი	15-07-2014	13-11-2022	12%	10.92%	67,931	9,357
9	ტრანში 9	160,000	აშშ დოლარი	14-11-2014	13-11-2022	12%	11.04%	379,958	48,435
10	ტრანში 10	130,000	აშშ დოლარი	12-02-2015	13-11-2022	12%	11.05%	308,715	39,275
								907,416	142,342
არაუზრუნველყოფილი სახელმწიფო სესხები									
11	ტრანში 1	133,012	ლარი	23-07-2014	23-07-2034	0%	12.84%	14,210	8,020
12	ტრანში 2	22,389	ლარი	12-11-2014	23-07-2034	0%	12.85%	1,789	894
								15,999	8,914
								923,415	151,256

არაუზრუნველყოფილი სახელმწიფო სესხები

კომპანიის სავაჭრო დებიტორული დავალიანება მოიცავს შპს "არქიმედეს გლობალ ჯორჯია სს"-სგან მისაღებ 563,206 ლარს (2017: 587,064 ლარი), რომელიც 2011 წელს წარმოიშვა. მოცემული სადაზღვევო კომპანია ლიკვიდაციის პროცესშია და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები ვადაგადაცილებულია 365 დღეზე მეტი ხნით. საქართველოს მთავრობის 309-ე დადგენილების "სამედიცინო დაწესებულებების უწყვეტი ფუნქციონირების შესახებ" და საქართველოს კანონის "ფინანსური მხარდაჭერა სამედიცინო დაწესებულებებს უწყვეტი სამედიცინო მომსახურების გასაწევად" მიხედვით (პროგრამის კოდი № 35 03 06), კომპანიამ მიიღო გრძელვადიანი უპროცენტო სესხი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან 155,401 ლარის ოდენობით, რომელიც ასევე განიხილება, როგორც ფინანსური მხარდაჭერა დაუბრუნებადი მოთხოვნებისთვის. სესხის ხელშეკრულება დაიდო 2014 წლის 23 ივლისს. სესხის მიღება მოხდა ორი ტრანშის სახით, რომლის დაფარვის ვადაა 2034 წლის 23 ივლისი.

დაფარვის რეჟიმი და სესხის გრაფიკი დაფუძნებულია შემდეგი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე:

1. თუ სამედიცინო სადაზღვევო კომპანია "არქიმედეს გლობალ ჯორჯია" სრულად დააბრუნებს არსებულ ვალს, მაშინ კომპანია სრულად დაუბრუნებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სესხის საბალანსო ნაშთს, "არქიმედი გლობალ ჯორჯია" –დან თანხის მიღებიდან 30 დღის ვადაში.
2. თუ სამედიცინო სადაზღვევო კომპანია "არქიმედეს გლობალ ჯორჯია" არ გადაიხდის არსებულ დავალიანებას, მაშინ კომპანია ვალდებულია მთლიანად გადაიხადოს სესხი, სასესხო ხელშეკრულების მიხედვით იმ ვადაში რაც განსაზღვრულია სასესხო ხელშეკრულებაში.
3. თუ სამედიცინო სადაზღვევო კომპანია "არქიმედეს გლობალ ჯორჯია" დაფარავს დავალიანებას ნაწილობრივ, კომპანია ვალდებულია სესხის დაფარვა დაიწყოს მოვალისგან ნაწილობრივი გადახდის დაწყებიდან 15 წლის შემდეგ. სესხის გადახდა უნდა მოხდეს 5 წლის განმავლობაში თანაბარი ყოველთვიური შენატანებით.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამედიცინო სადაზღვევო ჯგუფ "არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ" გადაიხდა 24,162 ლარი, რა შემთხვევაზეც აღწერილია ზემოთ მოყვანილი პირობებიდან მესამეში. აქედან გამომდინარე, სესხის დაიფარვა დაიწყება 2029 წლის აგვისტოდან 5 წლის განმავლობაში, ყოველთვიურად თანაბარი გადახდებით. სესხი აღიარებულ იქნა სამართლიანი ღირებულებით, რომელიც გამოთვლილია, მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 13.68%-ის გამოყენებით.

დამატებითი გადახდები განახორციელა სამედიცინო სადაზღვევო ჯგუფ "არქიმედეს გლობალ ჯორჯიამ" 2016 წლის განმავლობაში, გადახდილია 23,910 ლარი და 2018 წლის განმავლობაში 23,857 ლარი, რაც არ ახდენს გავლენას პირველი გადახდის შემდეგ დადგენილ სესხის პირობებზე.

9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	137,232	1,419,470
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	636,076	606,601
ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ	157,968	152,904
სხვა	17,935	1,407
	<u>949,211</u>	<u>2,180,382</u>

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს საიჯარო ვალდებულებას დაკავშირებულ მხარესთან – შპს ამტელ მედიქალ ფროფერტისთან - 1,234,072 ლარის ოდენობით. 2018 წლის განმავლობაში დარჩენილი თანხა სრულად დაიფარა.

ვალდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ მოიცავს შემდეგს:

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საშემოსავლო გადასახადი	157,968	151,804
სხვა გადასახდელი გადასახადი	-	1,100
	<u>157,968</u>	<u>152,904</u>

ყველა ვალდებულება დენომინირებულია ლარში.

10 შემოსავალი

კომპანიას შემოსავალი გამომუშავებული აქვს პაციენტებისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურებიდან, ხოლო შემოსავალის აღიარება ხდება სამედიცინო მომსახურების გაწევის მომენტისათვის, კომპანია იღებს ანაზღაურებას სოციალური ჯანდაცვის სააგენტოდან ყოვეთვიურად.

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	9,891,263	10,020,874
შემოსავალი ქვე-იჯარიდან	36,648	42,984
სხვა შემოსავალი	75,026	29,437
	<u>10,002,937</u>	<u>10,093,295</u>

11 სავადმყოფოს საოპერაციო ხარჯები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
ხელფასის ხარჯი	4,117,337	3,944,196
სამედიცინო მომსახურების ხარჯები	2,113,934	2,156,810
იჯარის ხარჯი	712,368	713,368
სანიტარიის და ჰიგიენის ხარჯი	451,794	393,486
სამედიცინო ჟანგბადის ხარჯი	222,339	221,022
რეკლამის ხარჯი	9,555	46,703
გაქირავებული შენობის რემონტის ხარჯი	1,325	16,812
სხვა საოპერაციო ხარჯები	29,843	21,908
	<u>7,658,495</u>	<u>7,514,305</u>

ქირაგნობის ხარჯები მოიცავს, საოპერაციო საიჯარო ხარჯებს შპს “ამტელ ფროფერტის” საავადმყოფოს შენობისთვის. საიჯარო შეთანხმება გაფორმებულია ვადით, რომელიც არ აღემატება ერთ კალენდარულ წელს, და აქვს განახლების შესაძლებლობა იჯარის განაკვეთის გადახედვით.

12 ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
ცვეთა და ამორტიზაცია	913,815	779,934
ხელფასის ხარჯი	489,284	528,483
კომუნალური ხარჯი	426,761	426,524
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	5,974	214,795
კონსულტაციის და სხვა მომსახურების ხარჯი	108,094	103,681
საკანცელარიო და საოფისე ხარჯი	58,947	58,407
საექვო მოთხოვნების რეზერვი (იხილეთ შენიშვნა 18 (ბ))	25,410	14,249
საკომუნიკაციო ხარჯი	12,662	13,603
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,382	2,298
სხვა ხარჯები	33,743	17,672
	<u>2,076,072</u>	<u>2,159,646</u>

13 ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
საბანკო სესხებზე საპროცენტო ხარჯი	72,396	-
დაკავშირებული მხარეებისგან სესხებზე საპროცენტო ხარჯი	30,556	177,995
დისკონტირების შედეგად გაანგარიშებული საპროცენტო ხარჯი	3,400	2,990
სახელმწიფოსგან მიღებულ უპროცენტო სესხზე	<u>106,352</u>	<u>180,985</u>
წმინდა ფინანსური დანახარჯები		

14 სხვა ფინანსური ერთეულები

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან:		
სესხები და მოთხოვნები	(68,729)	19,304
ფინანსური ვალდებულებები აღიარებული ამორტიზირებული ღირებულებით	80,823	(20,210)
	<u>12,094</u>	<u>(906)</u>

15 მოგების გადასახადის ხარჯი

მიმდინარე გადასახადი დაკავშირებული გამოუქვითავ ერთეულებთან, გადაიხდება ტრანზაქციის თარიღისას.

რეკონსილაცია ეფექტური საგადასახადო განაკვეთის არ არის წარმოდგენილი და დივიდენდები არ არის დეკლარირებული 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის.

16 მნიშვნელოვანი ბუღალტრული და მსჯელობები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული შეფასებები და მსჯელობები ეფუძნება ხელმძღვანელობის ისტორიულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს, მათ შორის ხელმძღვანელობის მოლოდინებს, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მომავალში მოვლენების შესაძლო განვითარებასთან დაკავშირებით.

16.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია მომავალში მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებით აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს. შედეგად მიღებული საბუღალტრო შეფასებები, განმარტების თანახმად, იშვიათად ემთხვევა რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ვადისაგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადები ხელმძღვანელობის შეფასებებისგან განსხვავებული აღმოჩნდება, მაშინ ფინანსური ანგარიშგებაც შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს.

დისკონტირების განაკვეთები და სესხების რეალური ღირებულება

ხელმძღვანელობამ შეაფასა სესხების სამართლიანი ღირებულება სათანადო ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით. ხელმძღვანელობამ გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია საქართველოში კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების შესახებ. შესაძარისობა იქმნება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა მსესხებლის უზრუნველყოფა, ხანგრძლივობა, ვალუტა, ინდუსტრია და სექტორი.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამორტიზებული ღირებულებით განსაზღვრული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულებები შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

17 ფინანსური ინსტრუმენტები

17.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები და მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7-ში.

17.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

შენიშვნა 3.7 წარმოადგენს აღწერას თითოეული კატეგორიის ფინანსური აქტივის და ვალდებულების და დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის. ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

2018 წლის 31 დეკემბერი

	ამორტიზირებული ლირებულება	სამართლიანი ღირებულება მოგება ზარალზე გავლით (FVTPL)	პეჯირებისთვის გამოყენებული დერივატივები (FV)	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,455,358	-	-	3,455,358
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	890,015	-	-	890,015
	<u>4,345,373</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>4,345,373</u>

ფინანსური ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბერი

	სხვა ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალზე გავლით (FVTPL)	სხვა ვალდებულებები (ამორტიზირებული ღირებულებით)	სულ
სესხები	-	1,028,924	1,028,924
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	773,308	773,308
	<u>-</u>	<u>1,802,232</u>	<u>1,802,232</u>

წინა პერიოდის ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია ბასს 39 მიხედვით:

ფინანსური აქტივები

2017 წლის 31
დეკემბერი

	გასაყიდად გამიზნული (FV)	სავაჭროდ გამიზნული (FVTPL)	პეჯირებისთვის გამოყენებული დერივატივები	დაფარვის ვადამდე ფლობილი (ამორტიზირებული ღირებულება)	სესხები და მოთხოვნები (ამორტიზირებული ღირებულება)	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	-	-	3,763,786	3,763,786
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	-	-	-	-	1,556,756	1,556,756
	<u>-</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>5,320,542</u>	<u>5,320,542</u>

ფინანსური ვალდებულებები

ლარი

	სხვა ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალზე გავლით (FVTPL)	სხვა ვალდებულებები (ამორტიზირებული ღირებულებით)	სულ
სესხები	-	1,074,671	1,074,671
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	2,026,071	2,026,071
	<u>-</u>	<u>3,100,742</u>	<u>3,100,742</u>

18 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. რისკების ძირითადი ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია აქტიურად არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არც ოფციონებს უშვებს. ძირითადი რისკები, რომლებიც ფინანსურ აქტივებთანაა დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს ფინანსური ინსტრუმენტების და კონკრეტულად კი სავალუტო რისკის გამოყენებით, რომელიც მისი საოპერაციო საქმიანობიდან წარმოიშვება.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ტრანზაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკუროს სხვაობები.

კომპანიის ოპერაციათა უმეტესობა ხორციელდება ლარით. საკუროს სხვაობები ძირითადად წარმოშობილია კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში არსებული საბანკო ანგარიშებით და . დაკავშირებული მხარისგან აშშ დოლარში მიღებული სესხით, რომელიც დაიფარა 2018 წელს.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკუროს რისკს უქმნიან, წარმოდგენილია ქვემოთ. თანხები ლარში გადაყვანილია წლის ბოლოს არსებული კურსით:

ერთეული

2018 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივები</i>		
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	537,270	38,413
	537,270	38,413
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სესხები	-	-
	-	-
	537,270	38,413

ერთეული

2017 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივები</i>		
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	546,322	10,337
	546,322	10,337
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სესხები	1,049,758	-
	1,049,758	-
	(503,436)	10,337

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მოგრძობელობას 15%-იან(2017:15%) კლება/მატების გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე ლარისა დოლარის მიმართ. 15% (2017: 15%) არის უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება. მოგრძობელობის ანალიზი მოიცავს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების ანალიზს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2017: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ სხვა ვალუტებთან მიმართებაში გამყარებულიყო 15%-ით (2017: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2018	2017	2018	2017
მოგება ან ზარალი	(80,591)	75,515	(5,762)	(1,034)

სავალუტო კურსის ცვლილებიდან წარმოშობილი რისკის დონე დამოკიდებულია წლის განმავლობაში უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების მოცულობაზე, ამის მიუხედავად, ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მიიჩნევა კომპანიის სავალუტო რისკის მიახლოებით შეფასებად.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რაც გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს. კომპანია ატარებს საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომელიც მოიცავს ფულს და ფულად ექვივალენტებს რომელიც განთავსებულია ბანკში, და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

საკრედიტო რისკის მართვა ხდება ინდივიდუალურ საფუძველზე, კომპანიის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, პაციენტებთან, სადაზღვევო კომპანიებთან და სხვა იურიდიულ პირებთან.

საკრედიტო რისკი დავაკშირებული ფულად ბალანსებთან ბანკში და დეპოზიტებზე იმართება საბანკო დეპოზიტების დივერსიფიკაციის საშუალებით, და განთავსებულია მხოლოდ მაღალი რეპუტაციის მქონდე საფინანსო ინსტიტუტებში.

კომპანია არ ფლობს რაიმე დაცვას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსების დაცვისათვის. გარდა ამისა, კომპანია არ ფლობს გირაოს რომელიც ეხება ფინანსურ აქტივებს (მაგ: წარმოებულ აქტივებს, ფულს და ფულად ექვივალენტებს რომელიც განთავსებულია ბანკში).

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს სიცოცხლის განმავლობაში მიღებული საკრედიტო ზარალისათვის ყველა სავაჭრო მოთხოვნაზე და ამ ერთეულებს არ აქვთ მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტი.

მოსალოდნელი ზარალის განაკეთი დაფუძნებულია გადახდების პროფილზე მომსახურების გაყიდვიდან გასული ერთი წლის განმავლობაში, როგორც ამავე პერიოდის შესაბამისი ისტორიული საკრედიტო დანაკარგები.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება როდესაც არ არის გონივრული მოლოდინი მათი დაბრუნებისა. თუ გადახდა დაგვიანდა 365 დღეზე მეტ პერიოდზე, ასევე ვერ მოხერხდა ალტერნატიული გზებით თანხის ამოღება, მაშინ ხდება აღნიშნული მოთხოვნის მოსალოდნელი ზარალის გაანგარიშება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე 2018 წლის 31 დეკემბრისთვის განსაზღვრულია:

ლარი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	სიცოცხლეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
2018 წლის 31 დეკემბერი			
6 თვეზე ნაკლები	-	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	100%	(59,477)	(59,477)
1 წელზე მეტი	100%	(902,053)	(902,053)
		(961,530)	(961,530)

ლარი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	სიცოცხლეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
2018 წლის 1 იანვარი			
6 თვეზე ნაკლები	-	-	-
6 თვიდან 1 წლამდე	100%	(42,426)	(42,426)
1 წელზე მეტი	100%	(893,694)	(893,694)
		(936,120)	(936,120)

სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის საბოლოო ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის რეკონსილირებული სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვის საწყის ბალანსებთან ერთად შემდეგია:

ლარი	2018	2017
ზარალის რეზერვი 2018 წლის 1 იანვრისთვის	936,120	921,871
ზარალის რეზერვი აღიარებული წლის განმავლობაში	49,267	49,887
ზარალის რეზერვი ჩამოწერილი წლის განმავლობაში	-	-
წლის განმავლობაში გამოუყენებელი ზარალის რეზერვის შეცვლა	(23,857)	(35,638)
ზარალის რეზერვი 31 დეკემბრისთვის	961,530	936,120

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანია ატარებს საპროცენტო განაკვეთის რისკს სასესხო ფონდებზე ფიქსირებული და ცვალებადი განაკვეთისას. ამ რისკის მართვა ხდება კომპანიის მიერ შესაფერისი კომბინაციის შერჩევით ფიქსირებული და ცვალებადი განაკვეთის სესხებს შორის.

მომდევნო ცხრილი აერთიანებს საშუალო კონტრაქტის და ეფექტულ საპროცენტო განაკვეთებს:

2018	საშუალო საპროცენტო განაკვეთი კონტრაქტით	ეფექტური
ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი სესხი სხვა კომპანიებიდან		
ლარი	10%	10%

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მგრძნობელობის ანალიზი 3% საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. 3% წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილების შესახებ.

თუ საპროცენტო განაკვეთი იქნებოდა 3%-ით მაღალი/დაბალი და ყველა სხვა ცვლადი იქნებოდა უცვლელი, კომპანიისათვის შემდეგი სურათი დადგებოდა:

- 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მოგება შემცირდებოდა/გაიზრდებოდა 89,051 ლარით (2017:წული);
- სხვა სრული შემოსავალი გაიზრდებოდა/შემცირდებოდა 89,051 ლარით (2017:წული).

ც) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს კრედიტორების მიმართ. კომპანია ფრთხილ პოლიტიკას ახორციელებს ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდებს. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების დასაფარად საჭირო არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, იმ უახლოესი თარიღებისთვის, როდესაც შეიძლება კომპანიისგან მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს:

2018

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვალეადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)		10%	12.84%	
6 თვეზე ნაკლები	773,308	49,124	-	822,432
6 თვიდან 1 წლამდე	-	49,943	-	49,943
1-5 წლამდე	-	1,027,234	-	1,027,234
5 წელზე მეტი	-	-	155,401	155,401
	<u>773,308</u>	<u>1,126,301</u>	<u>155,401</u>	<u>2,055,010</u>

2017

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვალეადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი (%)			11.32%	
6 თვეზე ნაკლები	2,026,071	-	-	2,026,071
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	-	-
1-5 წლამდე	-	-	-	-
5 წელზე მეტი	-	-	3,731,377	3,731,377
	<u>2,026,071</u>	<u>-</u>	<u>3,731,377</u>	<u>5,757,448</u>

კომპანია განიხილავს ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადს ლიკვიდურობის რისკის შეფასებისას, განსაკუთრებით მის ფულად სახსრებს და სავაჭრო მოთხოვნებს. კომპანიის ფულადი სახსრები და სავაჭრო მოთხოვნები აღემატება ფულადი სახსრების გადინების მიმდინარე მოთხოვნებს.

19 სამართლიანი ღირებულებით შეფასება

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია რომელიც თავის აქტივებს და ვალდებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით, ასევე ახორციელებს მათ ანალიზს. ეს ანალიზი მოიცავს 3 ჯგუფს და ეყრდნობა სამართლიანი ღირებულების გამოყენების შესაძლებლობებს. ეს ღონეები აღწერილია ქვემოთ:

- ღონე 1 – სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის.
- ღონე 2- სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ ღონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- ღონე 3- სამართლიანი ღირებულების შეფასება დამოკიდებულია შეფასების ტექნიკებზე, რომელიც იყენებენ ისეთ მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ბაზარზე ღიად დაკვირვებად მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

19.1 ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხული ამორტიზირებული ღირებულებით რომელთა სამართლიანი ღირებულება გახსნილია

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მიმდინარე ფულადი ნაკადების დისკონტირებით შესაბამისი საბაზრო განაკვეთით მსგავსი ინსტრუმენტებისთვის. ამიტომ ყველაზე ნიშნავლიანი მონაცემი სწორედ დისკონტის განაკვეთია. ზემოთ აღნიშნული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებული იქნება ქვემოთ მოცემული ღონეებიდან მესამეში.

20 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება საწესდებო კაპიტალისგან, დამატებითი კაპიტალისა, აკუმულირებული მოგებისგან და სესხებისგან, რომელიც განხილულია შენიშვნა 8-ში.

ხელმძღვანელობა აფასებს კომპანიის კაპიტალის სტრუქტურის მოთხოვნებს. იმისთვის, რომ ერთის მხრივ შეინარჩუნოს ეფექტური ფინანსირების სტრუქტურა, და მეორეს მხრივ თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ეს ითვალისწინებს კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის ღონეებს. თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის, არის შემდეგი:

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მოლანი კაპიტალი	5,670,342	5,425,482
გამოკლებული: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	(890,015)	(1,556,756)
კაპიტალი	4,780,327	3,868,726
მოლანი კაპიტალი	5,670,342	5,425,482
სესხები	1,028,924	1,074,671
სრული ფინანსირება	6,699,266	6,500,153
კაპიტალის და საერთო დაფინანსების თანაფარდობა	0.71	0.60

21 პირობითი მოვლენები

21.1 ბიზნეს გარემო

საქართველო პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების პროცესშია. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების ძირითადი დაბრკოლება ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების დაბალი დონეა, ცენტრალიზებული ეკონომიკური ბაზის, რეგიონალური არასტაბილურობისა და საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად.

საქართველოსთან თანამშრომლობაში მყოფი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ გამოიწვია საზღვარგარეთიდან შემოსული ფულის შემცირება, რაზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. სამთო პროდუქტების საერთაშორისო ფასების შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებთან დაკავშირებულმა გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, შესაძლოა გამოიწვიოს ქართული ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. თუმცა, რადგან ამ გაურკვევლობებში ჩართული ცვალებადობისა და დაშვებების რიცხვი მაღალია, ხელმძღვანელობა ვერ შეძლებს იმ საანგარიშო თანხების საიმედო შეფასებას, რომლის თანახმადაც კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შეიძლება შეიცვალოს.

კომპანიის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ დღევანდელ პირობებში სათანადო ღონისძიებები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

21.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა ორგანოს მიერ გადმოცემული განმარტებები განსხვავდება ერთმანეთისგან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები.

ზემოთ ხსენებული ფაქტის გამო წარმოიშობა საგადასახადო რისკი, რომელიც ახასიათებს განვითარებად ქვეყნებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს. თუმცა, შესაძლოა, რომ განსხვავებული განმარტების შემთხვევაში ეფექტი იქონიოს კომპანიის წარდგენაზე.

22 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

კომპანიის ვალდებულებებში ცვლილება ფინანსური აქტივობებიდან კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

ლარი	გრძელვადიანი ი სესხები	მოკლევადიანი ი სესხები	სულ
2017 წლის 1 იანვარი	-	1,910,631	1,910,631
ფულადი ნაკადები			
წინასწარი გადახდები	-	(1,507,330)	(1,507,330)
ნაკადების მიღება	-	-	-
არაფულადი მუხლები			
სამართლიანი ღირებულება	-	509,689	509,689
დარიცხული პროცენტი	-	180,985	180,985
საკურსო სხვაობის მოგება/ზარალი	-	(19,304)	(19,304)
2017 წლის 31 დეკემბერი	-	1,074,671	1,074,671
ფულადი ნაკადები			
წინასწარი გადახდები	(98,876)	(957,919)	(1,056,795)
ნაკადების მიღება	1,095,000	-	1,095,000
გადახდილი პროცენტი	(67,907)	(29,879)	(97,786)
არაფულადი მუხლები			
სამართლიანი ღირებულება	-	(11,695)	(11,695)
დარიცხული პროცენტი	72,396	33,956	106,352
საკურსო სხვაობის მოგება/ზარალი	-	(80,823)	(80,823)
რეკლასიფიკაცია	(1,000,613)	1,000,613	-
2018 წლის 31 დეკემბერი	-	1,028,924	1,028,924

23 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს მიეკუთვნება მშობელი კომპანია, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ძირითადი ხელმძღვანელობა აღწერილი ქვემოთ.

23.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის 100% -იანი მფლობელი არის ამტელ ჰოლდინგს სინგაპურ პაივეტ ლიმიტედ (Amtel Holdings Singapore Pte Ltd, Singapore). კომპანიის მთავარი მაკონტროლებელი პირები არიან ბატონი სუდჰირ გუფთა და ბატონი დანიელ გუფთა.

23.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და საანგარიშგებო პერიოდისთვის ჰქონდა შესაბამისი ნაშთები:

ლარი	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
ტრანზაქცია		
მფლობელი		
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	30,556	177,995
გადახდილი პროცენტი	29,879	671,572
გადახდილი სესხი	957,920	835,758
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები		
მომსახურების შეძენა	712,248	712,248
ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება		
ხელფასები და პრემიები	93,403	94,848
ლარი	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
მიმდინარე ნაშთები		
მფლობელი		
მიღებული სესხი	-	907,416
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	-	142,342
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი ორგანიზაციები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	1,234,072
გადახდილი ქირა	260,455	-